



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 13/ს
16/01/2023

13-21-4-202301161135



ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბენარაში აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის პროექტის ფარგლებში შპს „ჯეუ გრუპის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციასა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჯეუ გრუპის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბენარაში, აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის პროექტის ფარგლებში, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციისა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბენარაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 143 231 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 61.17.21.020) 2021 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შეთანხმებულია სამშენებლო ბანაკის პროექტი. აღნიშნული სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებული იყო აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის ფარგლებში, რომელზეც 2020 წლის 3 სექტემბერს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-785).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე დაგეგმილია ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი ხაზისა და ბეტონის კვანძის მოწყობა, ამასთან ტერიტორიაზე უკვე განთავსებულია ნავთობპროდუქტების საცავი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

წარმოდგენილი ინფორმაციით, სამსხვრევ-დამახარისხებელი ხაზის საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი შენობა-ნაგებობა დაშორებულია 227 მეტრით, რომელიც წარმოადგენს არასაცხოვრებელ ფართს. მონაცემების ელექტრონული გადამოწმების

შედეგად დგინდება, რომ სამსხვრევ-დამახარისხებელი ხაზის საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს დაახლოებით 800 მეტრს, ხოლო ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ადგილიდან 880 მეტრს. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. ქვაბლიანი სამსხვრევ-დამახარისხებელი ხაზის საპროექტო ტერიტორიიდან მიედინება დაახლოებით 195 მეტრის, ხოლო ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ადგილიდან დაახლოებით 300 მეტრის მანძილზე.

წარმოდგენილი ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია “Aymak”-ის ტიპის სამსხვრევი დანადგარის მონტაჟი, რომლის წარმადობა შეადგენს 100 მ³/სთ. სამსხვრევი დანადგარი შედგება შემდეგი ტექნოლოგიური დანადგარებისგან: ინერტული მასალის მიმღები ბუნკერი, სამსხვრევი დანადგარი, დამხარისხებელი დანადგარის მიმღები, დამსხვრეული ინერტული მასალის დამხარისხებელი და ლენტური ტრანსპორტიორი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი დაიწყება მარაგადახურული სატვირთო ავტომანქანებით ნედლეულის საწარმოს ტერიტორიაზე შემოზიდვით, ინერტული მასალა მიეწოდება მიმღებ ბუნკერს, ბუნკერიდან გადაიტანება ჰორიზონტალურ საცერში, საიდანაც მიეწოდება გამრეცხ დანადგარს, საცერიდან ქვიშაგამოცლილი მასის გადატანა მოხდება ყბებიან სამსხვრევ დანადგარში. ინერტული მასალა დამსხვრევის შემდეგ გადადის ბუნკერში საიდანაც მასალა ხვდება საცერში. აღნიშნულ ეტაპზე ნედლეული იცრება ფრაქციებად და კლასიფიკატორში ხდება მასალის გარეცხვა, საიდანაც დაფქვილი მასა გადაიტანება ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით და დასაწყობდება სხვადასხვა ფრაქციებად. საწარმო იმუშავებს 8 საათიანი რეჟიმით, წლის განმავლობაში 125 დღე, შესაბამისად, 100 მ³/სთ წარმადობის სამსხვრევი დანადგარის მუშაობის პირობებში განხორციელდება 100000 მ³ მოცულობის ნედლეულის გადამუშავება. საწარმოს ექსპლუატაციის ვადები დამოკიდებულია გზის მშენებლობის ხანგრძლივობაზე, რაც პროექტის მიხედვით 3 წელს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სამსხვრევ დანადგარში დაგეგმილია მდინარეული ქვიშა-ხრეშის გადამუშავება, რომელიც შემენილი იქნება ლიცენზიის მქონე ობიექტიდან. ამასთან, შესაბამისი ნებართვის მიღების შემდგომ მოხდება გზის გაყვანის პროცესში ფერდობების დამუშავების შედეგად გამოთავისუფლებული ფუჭი ქანების (არამდინარეული ქვიშა-ხრეში) გადამუშავება.

როგორც უკვე აღინიშნა, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე განთავსებულია დიზელის ავტოგასამართი სადგური (განთავსების ადგილის GPS კოორდინატები: X-0318203;Y-4613855). ავტოგასამართი სადგურიდან დიზელის საწვავის გაცემა ხდება გზის მშენებლობაში გამოყენებულ ავტოტრანსპორტზე. სადგური მოიცავს მიწისზედა განლაგების, 27 და 30 ტონა მოცულობის ორ ლითონის რეზერვუარს. აგრეთვე მოწყობილია ორი ავტოგასამართი სვეტი, დრენაჟის სისტემა და ნავთობპროდუქტების დამჭერი. წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 30 000 ლიტრი დიზელის საწვავის მოხმარება. ნავთობპროდუქტები ავარიული დაღვრის შემთხვევაში სპეციალური მილის საშუალებით მოხვდება 66 ტონა მოცულობის მიწისქვეშა ავზში. ნავთობპროდუქტების რეზერვუარების

სასუნთქი სარქველების სიმაღლე 30 სმ შეადგენს, ხოლო დიამეტრი 15 სმ-ს. რეზერვუარები განთავსებულია ბეტონის ფუნდამენტზე, შემოღობილია და გადახურულია.

სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე აგრეთვე დაგეგმილია ბეტონის კვანძის განთავსება, რომელიც მოიცავს მიმდებ ბუნკერს, ლენტურ ტრანსპორტიორებს, ბეტონშემრევ დანადგარსა და სამ სილოსს, რომლებიც აღიჭურვება ქსოვილის ფილტრით (ეფექტურობა 99,9%).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში წყლის გამოყენება დაგეგმილია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის. საწარმოს ტერიტორიაზე სასმელი წყალი შემოტანილი იქნება ავტოცისტერნებით და დაგროვდება რეზერვუარში, ან ბუტილირებული სახით. საწარმოო მიზნით წყალაღება განხორციელდება მდ. ქვაბლიანიდან (წყალაღების წერტილის კოორდინატებია: X-318254,953; Y-4613452,795). აღნიშნული მიზნით მოხმარებული წყლის მაქსიმალური წლიური რაოდენობა შეადგენს 30 000 მ³-ს. მდ. ქვაბლიანიდან წყალაღება დაგეგმილია სამშენებლო ბანაკის არსებული სატუმბი სადგურის მეშვეობით. სატუმბ სადგურში დამონტაჟებულია 3 (სამი) ცალი წყლის ტუმბო, საიდანაც ერთ-ერთი, 130 მ³/სთ წარმადობის ტუმბო გამოყენებული იქნება სამსხვრევ-დამახარისხებელი ხაზისა და ბეტონის კვანძისთვის საწარმოო დანიშნულების წყალაღებისთვის.

ტერიტორიაზე შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებული წყლის გაწმენდის მიზნით განთავსდება სამსექციანი ჰორიზონტალური სალექარი - ქვიშის დამჭერი. თითოეული სექციის პარამეტრები შემდეგია: სიგრძე - 3,0 მ, სიგანე - 2 მ, სიღრმე - 2,0 მ, ხოლო სალექარის საერთო მოცულობა შეადგენს 36 მ³-ს. სალექარის განთავსების GPS კოორდინატებია: X-0318252; Y-4613550. სამსექციან სალექარში გავლის შემდგომ ჩამდინარე წყალში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია შეადგენს 59.019 მგ/ლ-ს. სალექარიდან გაწმენდილი წყალი, გოფირებული 300 მმ დიამეტრისა და 120 მ სიგრძის პოლიეთილენის მილით ჩაედინება მდ. ქვაბლიანში, ხოლო სალექარში დაგროვებული ლამი დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე და გამოყენებული იქნება ბეტონის წარმოების პროცესში. წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლის მოცულობა, აორთქლებით გამოწვეული დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 6000 მ³ (მოხმარებული წყლის 20%-ს). წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X -318256,099, Y -4613428,425. საპროექტო ტერიტორიაზე სამეურნეო-ფეკალური წყლებისთვის მოეწყობა 18 მ³ მოცულობის შემკრები ორმო. აღნიშნული სასენიზაციო ორმოს დაცლა მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ. სამსხვრევი დანადგარის საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების ჩადინება, სანიაღვრე არხების მეშვეობით მოხდება სალექარში, ხოლო გაწმენდის შემდგომ მდ. ქვაბლიანში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მავნე ნივთიერების, კერძოდ, არაორგანული მტვრის, ცემენტის მტვრისა და ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადების წარმოქმნა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. დოკუმენტში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის, მათ შორის ბეტონის კვანძის ექსპლუატაციის შედეგად მოსალოდნელი ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება,

იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და გაფრქვეული არაორგანული ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები. დოკუმენტის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის რაოდენობა, საწარმოს წარმადობისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის (800 მ) გათვალისწინებით არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ დასაშვებ ნორმებს. შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროებია ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. სკრინინგის განცხადებაში მოცემულია წარმოქმნილი ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგები, რომლის თანახმად, საწარმოდან 277 მეტრიან რადიუსში (არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა ნაგებობის დაშორების მანძილი) ხმაურის დონე ნორმაზე ნაკლებია, შესაბამისად, უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის (800 მ) გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია არასახიფათო, ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც განთავსდება სპეციალურ კონტეინერებში და გაიტანება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია, სახიფათო ნარჩენებისთვის ჰერმეტიკული კონტეინერის განთავსება, სადაც სახიფათო ნარჩენის წარმოქმნის შემთხვევაში მოხდება მათი განთავსება, ხოლო გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, პროექტის ფარგლებში სამსხვრევი დანადგარისა და ბეტონის კვანძის განთავსების მიზნით მოხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დროებით დასაწყობება, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდგომ, „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად“ მოხდება გარემოს პირვანდელი სახის აღდგენა (რეკულტივაცია).

წარმოდგენილი ინფორმაციით, გეოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ზონის საშუალო და დაბალმთიანი ტექტონიკურ-ეროზიული ქვაბულების ქვეზონას, შეფარდებითი დაძირვებით, რომელიც განვითარებულია მესამეული და მეოთხეული ასაკის ვულკანოგენურ-ნაოჭა სტრუქტურებზე. აღნიშნულ ქვეზონაში განვითარებულია აკუმულაციური, ეროზიული და მეწყრული პროცესები. ვინაიდან სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს მეწყრული სხეული, როგორც საწარმოს მოწყობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე განხორციელდება გეოდინამიკური პროცესების მუდმივი მონიტორინგი, რათა არ მოხდეს ეროზიულ-მეწყრული პროცესების გააქტიურება, ხოლო

ცვლილებების დაფიქსირების შემთხვევაში გატარდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საწარმო განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და ხე-მცენარეები წარმოდგენილი არ არის. საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციით გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან 500 მეტრის რადიუსში მსგავსი პროფილის ობიექტ(ებ)ი არ ფიქსირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გაიგზავნა ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საწარმოს წარმადობის, უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის (800 მ) და ტექნოლოგიური ციკლის (სველი მეთოდით გადამუშავება) გათვალისწინებით, საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტისა და მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბენარაში, აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის პროექტის ფარგლებში შპს „ჯეუ გრუპის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჯეუ გრუპი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯეუ გრუპს“:

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯეუ გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ადიგენის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო